უსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 31 მაისი 1917 წ.

117

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის გაზ „რძდ

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ოთ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ащ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა სი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т ис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 59 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 59

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმად დამწუხრებულნი ძმები პრაკოპი და ლეონიდ ძნელაძეები არწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავისი უსაყვარლესი დის

ანუშკა (ანნა) თეოდორე ძნელაძის ასულისა

გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 31 მაისს დილის 9 საათზე ცენტრალნი სასტუმროდან ბორჯომში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და დაკრძალვა 12 საათზე ბორჯომში. 2—1

სახელმწიფო (სახაზინო) თეატრი.

ხშაბათს, 31 მაისს კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება პირველად ტფილისში სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით

დიდი ეთნოგრაფიული საღამო-კონცერტი

შესავალი: ცხოველი სანახაობა და სცენა ქართულ ცხოვრებიდგან.

პირველი განყოფილება: 1) სიტყვა მუსიკაზე (განსაკუთრებით გურულ-აჭარულზე); ქართლ-კახური გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით; 3) გურულ-აჭარული გუნდი ვ. სიმონიშვილის ლოტბარობით.

მეორე განყოფილება: 1) თარი და ფანდური ქართლ-კახური გუნდის დამღერებით; სტვირი და ჩანგური გურულ-აჭარული გუნდის დამღერებით.

3) ქართული ხალხური სასიმღერო სიმფონიები.

მესამე განყოფილება: 1) ქართული ცეკვა; 2) თამაში: ცალფა, წყვილი, სამაია, ჯგუფური და ფერხული; 3) ძველი ქართული ცეკვა ხორუმი.

მონაწილეობას მიიღებენ: კ. ფოცხვერაშვილი, მ. კავსაძე, ვ. სიმონიშვილი, დრამის ახიობები, მეთარე, მეფანდურე, მესტვირე, მეჩანგურე, ქართლ-კახური გუნდი, გურულ-რული გუნდი, საგანგებოდ მოწვეულნი ქართველი მაჰმადიანები, რომელთა მიერ შესრულებული იქნება იშვიათი სანახაობა ძველი ქართული სამხედრო და საზეიმო ჯგუფური ცეკვა ხორუმი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღ. 8 საათზე. **აფიშები არ გამოვა.**

ამხანაგებო და მოქალაქენო!

არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

28 მაისს ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენათ. აღწერა გაგრძელდება სამ დღეს.

უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე ზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყონებლივ შეატყობინეთ ეს მცხოვრებთა აღწერის საქმის საუბნო ხელმძღვანელთ ან მახლობელ კოოპერატივში, პროფესიონალურ კავშირში, მუშათა დეპუტატების საბჭოში, ადგილობრივ ცეხების ან ფაბრიკა-ზავოდების კომისიებში, ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ ახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე და აღინიშნოს მათი წლოვანება სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. ატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეყნელთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში რ ჩაგწერენ თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას დემოკრატიულ ამომრჩევლის ერთი დაკარგული ხმა ნიშნავს პლუტოკრატიის გაძლიერებას და დემოკრატიის დასუსტებას.

არ დაივიწყოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მოქალაქენო!

იმ პირთა ასაწერათ, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ტფილისის ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში, საარჩევნო კომიტეტმა შეადგინა რამდენიმე ასეული ჯგუფი გადამწერლებისა. ამ გადამწერლებმა 28 მაისიდან ამა წლისა ჩამოიარეს სახლები, ბინები საზოგადო საცხოვრებელი სადგომები და სწერდენ მცხოვრებთ. განსაკუთრებული სიჩქარისა და საქმის სიახლის გამო, შესაძლებელია, რომ გადამწერლებს გამორჩათ სახლები, ბინები, აგრეთვე ქუჩებიც, შესახვევები და სხვა.

მოქალაქენო! ყველა თქვენგანი, რომელნიც რაიმე მიზეზით ვერ მოხვდა სიაში უნდა მიმართოთ გადამწერთა საუბნო ბიუროს, რამე დოკუმენტით (პასპორტი ანუ სხვა რაიმე საბუთი) და განაცხადოთ, რომ თქვენ გამორჩენილი ხართ. ყველა გამორჩენილები დაუყონებლივ შეტანილი იქნებიან ამრჩეველთა სიაში.

1-ლი სამილიციო უბნის ბიურო მოთავსებულია ოლღას ქუჩაზე საქალაქო სასწავლებელში სახლი № 52 სახ. მაჩაბლისა.

2-რე უბ. არტისტიულ საზოგადოების საზამთრო სადგომში.
3 მე უბ. მესამე ქალთა გიმნაზიის სადგომში.
4-ხე უბ. სახელოსნო სასწავლებელში ეკზარხის მოედანზე.
5-თე უბ. ქალაქის საავადმყოფოში, ვორონცოვის ქუჩაზე.
6 სე უბ. ნადეჟდის პრიუტში, რეიტერის ქუჩაზე.
7-დე უბ. ავლაბრის კლუბის საზამთრო სადგომში.
8 ვე უბ. 1-ლ კომერციულ სასწავლებელში, ნიკოლოზის ქუჩაზე.
9-რე უბ. 5 თე ქალთა გიმნაზიაში, მიხეილის ქუჩაზე.
10 თე უბ. სახალხო სახლში, კიროჩნი ქუჩაზე.
11-ტე უბ. სასურსათო კომიტეტში, პავლოვის ქუჩაზე.
12 ტე უბ. ტეხნიკურ რკინის გზის სასწავლებელში. შერემეტიევის ქუჩაზე.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა და საარჩევნო კომიტეტი ქ. ტფილისისა.

(1—1).

დღეს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე, კრასნოგორის ქუჩაზე № 10 დანიშნულია

კრება ტფ. ორგანიზ. რ. ს.-დ. მ. პ. 2 რაიონის მე-3 პოდრაიონისა, რომელშიდაც შედის მეცხრე უბანი. აქვე შესდგება კრება ყველა იმ პირთა, რომლებიც არჩეულნი და დამტკიცებულნი იყვნენ მერვე, მეცხრე და მეათე უბნებიდან ქალაქის აღმწერთა კონტროლიორებათ.

ტფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის ბიურო

მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ღიაა 10—1 საათამდე და 5—7-ამდე. შესასვლელი ეზოდან, მეორე სართულზე. აქვე შეიძლება პარტიის წევრების ჩაწერა, შოვნა პარტიულ ლიტერატურისა და აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ პარტიულ გაზეთებზე ბიუროს საშუალებით.

ბიურო და კლუბი მეოთხე რაიონულ კოლექტივის ტფ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (პირველ ქალების გიმნაზიაში). აქვე შეიძლება ჩაწერა ს.-დ. პარტიაში რეკომენდაციით, მიღება სხვადასხვა ცნობებისა, იყიდება წიგნები, ბროშიურები და გაზეთები და სხვა. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს, ვისაც აქვს კვიტანცი. წიგნაკები და ფული დაუყონებლივ შემოიტანონ ხაზინადარ ამხ. ზუბაკიშვილთან ბიუროში.

ბიურო ღიაა დილ. 10—3 ს—დე. და საღ. 6—7 ს—დე.

მდივანი ი. კალანდარიშვილი.

ვთხოვთ ყველას, ვინც კი იცის მისამართი **ტეხნიკის იაკობ პეტრეს ძე აფალიშვილისა** (მცხოვრები ქ. ქუთაისში და რომელიც კავკასიის ფრონტზე არის სამსახურში), გვაცნობოს ამ მისამართით: სად. მიხაილოვი ანტონ ტერზოპულოს, რაზედაც წინდაწინვე ულრმეს მადლობას შევსწირავთ თხოვნის შემსრულებელს.

მუშების მონდობილობით ანტონ ტერზოპულო. 3—3

28 მარტს 1917 წ. ტფილისის სადგურიდან მცხეთამდის **დამეკარგა** უვადო პასპორტი და საფულე 140 მანეთამდე ფულით. ვსთხოვ მნახველს ფული დაიტოვოს და პასპორტი კი როგორც ჩემთვის აუცილებელი საჭირო გამომიგზავნოს ტფილისში მესამე მოგნინის ტუპიკი, № 11, ალექსანდრე პარმენის ძე წერეთელს.

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლექავა

შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.

10—8

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძეისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანთ ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გ. გ. მუხრაშვილი

შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყოველნაირ ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible] —ტიპით. დიდი სოლინოიდი [illegible] [illegible] და არახორვალის ტოკითა [illegible] ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰემე-ბის, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისათვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობისთვის, ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7 ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა და შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

„სამოქალაქო ომი“

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ კვლავ ნიადაგი მოუმზადა სოციალდემოკრატიულ ფრაქციათა შორის იმ უთანხმოებას, რომელიც ამ ათი-ხუთმეტი წლის წინ წარმოიშვა და რომელმაც პარტიული და საზოგადოთ პროლეტარული მოძრაობა საგრძნობლათ დაასუსტა. ასეთი დავა-უთანხმოებამ მუშათა კლასის სოლიდარულ შეკავშირებას გაცილებით მეტი ზარალი მოუტანა, ვინემ გერმანიაში ოპორტუნისტებსა და ორტოდოქსებს შორის უთანხმოებამ, ანდა ლასალიანებსა და მარქსისტების შორის აზრთა სხვა და სხვაობამ. ჩვენ ვამბობთ მეტი ზარალი მოუტანა თქვა, ვინაიდან გერმანიაში სოციალისტთა შორის შეხედულებათა უთანხმოება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პარტიულ ინტელიგენტურ წრეებს არ გაშორებია და ფართო მასა მიუხედავათ ფრაქციულ კამათისა კლასობრივ ბრძოლის ნიადაგს არ მოშორებია, მათ შორის კლასობრივი შეგნება-სოლიდარობა არ შესუსტებულა.

სრული ჭეშმარიტებაა, როცა ავგუსტ ბებელი ამბობდა, რომ ოპორტუნისტების მარქსისადმი კრიტიკამ მასა ოდნათაც არ გაოპორტუნისტა და იგი თავის გზას ერთი წუთითაც არ აშორებია. იქ არ ვიცით დავიდ ბერნშტეინის მუშათა ფრაქცია, ანდა ოპორტუნისტთა მუშათა ფრაქცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ომის ხანაში წარმოშობილ ფრაქციულ უთანხმოებას. არსებობდა მუშათა სოციალდემოკრატიული პარტია, რომლის რეზოლიუცია-დადგენილებებს ყველა პარტიის წევრი თუ თანამოაზრე ემორჩილებოდა.

დავა კამათი რეზოლიუციის გამოტანამდის იყო, ხოლო როცა უმრავლესობის მიერ რეზოლიუცია იქნებოდა მიღებული, რეზოლიუცია მოქმედებაში შევიდოდა, მაშინ სხვა და სხვა განსხვავებული მიმდინარეობა ისპობოდა და ყველანი დადგენილებას ემორჩილებოდენ.

მაგრამ რუსეთის მარქსისტულ პარტიის შორის აკადემიური უთანხმოება ფართო მასაში გადადიოდა და მუშათა შორის სხვა და სხვა მოქმედება მოძრაობა იწყებოდა. აქ საერთო რეზოლიუცია, საერთო დადგენილების დამორჩილება არ ხდებოდა და თითოული მიმდინარეობა თავის გარშემო მუშათა მოძრაობას ქმნიდა და ეს ორი თუ სამი მიმდინარეობა ჩვეულებრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ეწეოდენ. აქ პროლეტარული შეკავშირებული, შეთანხმებული და სოლიდარული მოქმედება მუდამ სუსტობდა და იგი სექტანტურ მოუთმენლობის ხასიათს ღებულობდა.

უთანხმოება ამ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ უფრო გაამწვავა და გააღრმავა.

ახლა ფრაქციონულ აკადემიურმა საკითხებმა წმინდა პრაქტიკული ხასიათი მიიღო და უთანხმოების გარშემო ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო, ურისმყოფელი მიმდინარეობა დაიწყო. ხშირათ ეს უთანხმოება იქამდის მიდის, რომ მუშათა ფრაქციები „სამოქალაქო ომს“ მართავენ და ერთი მეორეს წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან.

ასეთია რუსეთის ობიექტიური პირობები, მისი საწარმოვო ტეხნიკის განვითარება და კლასობრივი დიფერენციაციის სისუსტე. არსებულ პირობების გამო კი, თითოეულ მიმდინარეობას საშუალება ეძლევა ეკონომიურათ უკმაყოფილო მასსა ამა თუ იმ ლოზუნგის გარშემო აატრიალოს და თავისებური მიმდინარეობა მისცეს.

ფართო მასის კლასობრივათ ჩამოუყალიბლობა ზოგიერთა სოციალისტურ ელემენტებს ნიადაგს უმზადებს უკიდური მოთხოვნები წ
მოაყენოს და ამ მოთხოვნების ცხოვრებაში
გატარება მასის მეოხებით მოითხოვოს.

ასეთი უკიდური ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ
უტოპიური მისწრაფება რუსეთის სოციალის-
ტურ მოძრაობაში არ ახალია ძველია. ხშირათ
რუსეთის რევოლიუციონური ელემენტები, დე-
მოკრატიის იდეოლოგები ობიექტიურ პირობებს
ანგარიშს არ უწევდენ და ისეთ მოთხოვნებს ა
ნებდენ, რომლებიც საწარმოვო ურთიერთო
დან არ ყოფილა გამოწვეული, მათ ამგვარ
თხოვნებს კი მუშათა კლასის რეალურ მოძრა
ბაში ანარქია და არევ დარევა შეუტანია.
სულ საუკუნის ორმოცდაათე წლებში ბაკუ
ძველ ინტერნაციონალს და მის წევრებს
წმუნებდა, რომ სოციალიზმი პირველათ რ
სეთში და შემდეგ იტალიაში უნდა განხორ
ციელდეს და შემდეგ კი ევროპაში. ჩვენ ვი-
ცით, თუ მარქსმა ბაკუნინის ასეთ უტოპიურ
მოძღვრების წინააღმდეგ როგორ გაილაშქრა
და როგორ ებრძოდა მას. ისიც ვიცით, თუ
რა ზიანი მიაყენა ბაკუნინის ასეთმა უკი-
დურმა შეხედულებამ და რა სამსახური გაუ-
წია საერთაშორისო მუშათა კლასს.

დღეს ობიექტიური პირობები ზოგიერთ
მუშათა კლასის იდეოლოგების მიერ სრულიად
არ არის აწონ-დაწონილი, მათ მხედველობაში
არ მიუღიათ რუსეთის საწარმოვო ძალთა
განვითარება და ხალხს, ფართო მასას სო-
ციალიზმისაკენ, პრაქტიკული ნაბიჯებისაკენ
ოუწოდებენ. მათ დავიწყებიათ, რომ ჯერ,
რუსეთში საწარმოვო ძალთა აღორძინებამ
მსხვილი წარმოება იმდენათ არ არის დამწი-
ფებული, რომ დიდი უმრავლესობა მესა
თრეებს, როგორც ენგელსი იტყოდა, ს
თრება ბოროტებათ არ გადაქცევიათ და
ჯოხეთიდან ბედნიერების სამეფოში გადას
არ მოითხოვენ. მიუხედავათ ამისა, რევოლ
ციონური ელემენტები მასას აქეთ მოუწო
ბენ და მუშათა კლასის ის იდეოლოგები
ვინც მათ ლოზუნგებსა და პრაქტიკულ ნაბი-
ჯებს არ იზიარებს მათ წვრილ ბურჟუაზიული
იდეოლოგებათ ნათლავენ. ეს ჩვეულებრივი
ბაკუნინის ბრძოლის ოინებია, რომელ
მარქს, როგორც ბურჟუაზიული კლასი
იდეოლოგს ზიზღსა და საყვედურს უცხადებდ
ამ ქამათ ბაკუნისტისებურმა სოციალიზ
ზოგიერთა სოციალ-დემოკრატიული პარ
ლიდერთა შორის უკიდური მიმართუ
ილო და ვინც მათ არ ეთანხმება
და სამოქალაქო ომს უცხადებენ. მაგ
გათვითცნობიერებულ მასას მათ
ანარქო სოციალისტური მოძღვრება
ბრივ გზას ვერ გადააცდენს და
გვიან მათ დეზორგანიზაციულ
დაგმობენ. გათვითცნობიერებუ
კლასისათვის მათ წინააღმდეგ
მოქმედება მორიგ საკითხს შეადგე

ბრძოლა ეკონომიურ ნიადა

შრომასა და კაპიტალის შორის
ური ბრძოლა თანდათან მწვავდებ
კლასის ხელფასის მომატებისა
დღის შემცირების მოთხოვნა
ველთა და საზოგადოთ ბურჟუ
დააფრთხო და უკანასკნელ
წარმოუდგენელი კრიზისით

მათი ორგანოები და იდე
წოთ მოსთქვამენ, რომ მუშებ
ყენებული „ზედმეტი“ მოთხოვნებ
წარმოებისთვის დამღუპველია და მას თა
შედ ოვე ტეხნიკის განვითარება ვერ აიტანს
და წარმოების ლიკვიდაციის აუცილებლობას
ქადაგებენ. სახელმწიფო განსაცდელშია, რე-
ვოლიუციას საფრთხე მოელის—აი რას გაი-
ძახის დღეს მრეწველ-ვაჭრთა კლასები.

ბურჟუაზიის ასეთი გოდება გასაგებია, ად-
ვილათ ასახსნელია. მან ამ რევოლ უციის
ქარტეხილის ხანაში დაეკარგა ის მფარველი
ძალა, ძლევა მოსილი სახემწიფოებრივი მექა-
ნიზმი, რომელით მთელი საუკუნის განმავლო-
ბაში მისი ეკონომიური და პოლიტიკური ინ-
ტერესების დარაჯათ იდგა და მის უ ზღვრო
ექსპლოატაციას ყოველგვარ მფარველობას
უწევდა.

ახლა საზოგადოებრივი ურთიერ
იცვალა; მუშათა კლასი ბიუ
კიდან, პოლიცია-ადმინისტრაცი

გულ დათუთქული მშობლები, ვარვარა ეგნატეს ასული და მიხეილ ანდრიას ძე, ძმები კუზმა და ვახტანგი ალანიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი საყვარელი შვილის, ხოლო მეორენი ძმის

ვლადიმერ (პაპო) მიხეილის ძე ალანიას

უეცრივ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ი. პ. პაპავაძის სამეურნეო წარმოება ქუთაისში.
აცნობებს საზოგადოებას, რომ მას ახლა აქვს დამზადებული გემოთ საამო და სურნელოვანი
მარწყვის ჩაი
მარგებელია ყველასათვის. გულით და ნერვებით სუსტ პირთ ურჩევენ ამ ჩაის ხმარებას.
ქუთაისში გირვანქა **მარწყვის ჩაი** ღირს 2 მ. 25 კაპ., სხვაგან: თფილისში, ბაქოში, მოსკოვში, პეტროგრადში და სხვ. 2 მ. 50 კაპ; სჯობს დაუყოვნებლივ დაიკვეთოთ.

შიშილან, ციხე-კატორღების ჩამწყვდევის შუქარიდან განთავისუფლდა შრომასა და კაპიტალ შორის ბრძოლამ თავისუფალი ხასიათი მიიღო.

ეჭვს გარეშეა ასეთ პირობებში ეკონომიურათ შევიწროებული კლასი ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა მით უმეტეს, რომ თვით მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულმა არა ჩვეულებრივმა კრიზისმა შრომელი კლასის საარსებო მინიმუმი დააქვეითა და იგი წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდის. უკანასკნელ ასეთ უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ სამუშაო ქირის გაუმჯობესობის მეოხებით შეუძლიან და მუშებმაც მოითხოვეს იგი აი—ის აუცილებელი და უეჭველი გზა, რომელიც მუშათა კლასმა აირჩია და რომელმაც მთელი ბურჟუაზიული კლასები ააშფოთა.

ხელფასის მომატება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება პირდაპირ მრეწველთა [illegible] წარმოუდგენელ, არა ჩვეულებრივ [illegible] შემცირებას ეხება.

გალაღებული და გათამამებული რუსეთის ბურჟუაზია—ეჭვს გარეშეა—მუშათა კლასის ასეთ „თავხედ“ გამოსვლას ვერ შეურიგდება და მის წინააღმდეგ დაირაზმება.

ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მათი ე. ი. ბურჟუაზიის გოდება, თითქოს არსებული წარმოების ურთიერთობა ხელფასის მომატებას ველარ იტანდეს და მათი კაპიტალის დაგროვება მცირდებოდეს.

ამ ჟამათ მუშათა ხელფასი და წარმოების დივიდენტების შორის მაინც დიდი უფსკრულია გათხრილი. დაქირავებული კლასების რეალური ხელფასი ოდნავათაც ვერ უახლოვდება და მრეწველთა მოგება მაინც წარმოუდგენლათ იზრდება.

ბურჟუაზიას ერთი საუკეთესო ბრძოლის იარაღი მუდამ ხელთ უპყრია: როცა მუშათა ხელფასი მატულობს, იგი ნაწარმოებს ძვირებს და ამ გზით დაკარგულ მოგებას სხვა გზით ინაზღაურებს. მით უმეტეს ახლა, როცა წარმოების ერთგვარი აბსოლიუტური სიმცირე ძლიერდება და მასზე მოთხოვნილება კი წარმოუდგენლათ იზრდება, თავისთავათ საგულისხმოა მრეწველ-ვაჭრებს ახლა მეტი საშუალება აქვთ წარმოების ფასი ასწიონ და მით მოგება გაადიდონ.

ერთი სიტყვით არსებული ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტთა კლასების სასარგებლოთ უფრო ლაპარაკობს, ვინმე დაქირავებულებისაკენ.

დღეს არც ერთი დარგის მუშები არ არიან, რომ მათ გადიდებული ხელფასის მეოხებით თავიანთ მდგომარეობა საარსებო მინიმუმის მაღლა აეწიოთ და მათი მდგომარეობა, როგორც ლასალი იტყოდა მინიმუმის გარშემო ტრიალებს. ხელფასის მომატება რეალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას არაფერს სძენს, პირიქით, რაც დრო გადის საერთო მუშათა მდგომარეობა უვარგისდება და ხელფასი მას არ ყოფნის. თუ ისინი ახლა მაინც მოგების შემცირებაზე გვკივიან და წარმოების დაცემის საფრთხეს გვიხატავენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოგების ზრდა ახლა ისეთი ტემპით არ მიდის, რა ტემპითაც მიდიოდა რევოლუციის დაწყებამდის.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა მუშებსა და კაპიტალისტთა შორის ეკონომიური მოთხოვნების მომრიგებელი კამერების მეოხებით მოწესრიგება და ასეთი გზით ეკონომიური კონფლიქტების მორიგება. მაშინ კაპიტალისტების გაზვიადებულ ჩივილსა და ზოგიერთა წარმოების სფეროში დროებით მუშათა ანარქიულ გამოსვლებს ნაკლები ადგილი ექნებოდა.

თვითნებობა სოფლად.

პროვინცია-სოფლებიდან გულის შემზარავი ამბები მოდის. ხელში გაზეთის ნომერს ვერ აიღებ, რომ იქ ამბავი არ იყოს მოთხრობილი თუ სოფლისა და მივარდნილ კუთხეების მცხოვრებნი ქურდ-ბაცაცებს ცხოვრებიდან გათახსირებულ ლუმპენ-პროლეტარებს ამა თუ დანაშაულისთვის თავისი სამართლით არ სჯიდენ და მათ სიკვდილით დასჯას არ უწყვეტდენ, არამც თუ აქ ყველგან რუსეთის სხვადასხვა სოფლებში ბოროტების ჩამდენთ ხალხი „ლინჩის“ კანონით ასამართლებს და ყოველგვარი ფიზიკური წამება საშუალებათ გაუხდიათ. მაგ. სოფ. ანაგაში ამ რამდენიმე დღის წინათ ამავე სოფლის მცხოვრებთ ფულის მოპარვისათვის დამნაშავე დაბურულ ტყეში წაუყვანიათ, იქ რამდენსამე კაცს ხანჯლის წვერებით დაეჩხვლიტათ, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ წუთისოფლს გამოასალმეს. სოფ. ნინოწმინდის მცხოვრები არსენ როხტომაშვილი უღელ-ხარის მოპარვის გულისათვის გახურებული რკინით დადაღეს; რუსეთის ერთ-ერთ სოფელში ქურდებს—რიცხვით შვიდ კაცს ნავთი გადაასხეს და ისე დაბუგეს. ასეთი მაგალითები ერთობ ხშირია, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში.

ეკონომიურათ გამწარებული ხალხი ბოროტ მოქმედთ ასეთი საშინელი საშუალებით სჯის და მათ საშუალო საუკ. ველური სამართლის კანონები სახელმძღვანელო პრინციპათ გაუხდიათ. განვითარებული დემოკრატია ასეთ დასჯის სისტემის მუდამ და ყოველთვის წინააღმდეგი ყოფილა და ახლაც წინააღმდეგი იქნება.

ჩვენი შეხედულებით ყოველგვარი დანაშაული თუ ბოროტ-მოქმედება განსაზღვრულ ობიექტიურსა და საზოგადოებრივ პირობების ნაყოფია. ქურდები, ჯიბგირები, ავაზაკები, ბუნებით არ იბადებიან, ისინი ამა თუ იმ უკუღმართ საზოგადოებრივი უკანონობის შედეგია და მაშასადამე მათი გასამართლება—დასჯა საზოგადოებრივი კანონების მიხედვით უნდა მოხდეს.

არსებულ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარებული დემოკრატია კულტურულ დასჯისა და გასწორების საშუალებას უყენებს და იგი არა დროს არ მოიწონებს დამნაშავეთა ფიზიკურათ დასჯას. მით უმეტეს, რომ რევოლიუციონურმა კლასებმა სიკვდილით დასჯა უარყო და იგი სამუდამოთ დაგმო. საჭიროა სოფლის შეგნებულმა ნაწილმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს. ყველგან ხალხის მიერ არჩეული პირებიდან სინდისის სასამართლოები დაარსონ და ამ სასამართლოების მეოხებით ხდებოდეს დამნაშავეთა გასამართლება, სხვა გზა აქ შეუწყნარებელი იქნება და ვინც ამ გზას და ასეთ სასამართლოს აუხვევს იგი ქურდ-ბაცაცებისა და დამნაშავეთა რიცხვს კი არ შეამცირებს, უფრო გაამრავლებს და ანარქიას ხელს შეუწყობს. ამ სახით ვგმობთ „ლინჩის“ კანონებს და სოფლის მცხოვრებთ მოუწოდებთ დამნაშავენი ხალხის არჩეულ ინსტიტუტით გაასამართლონ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 27—29 მაისი.)

ხერსონის ამბები.

ადესა. გაზეთებში მოთავსებულ ცნობის გამო ხერსონში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ, პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო შეეკითხა ხერსონის მთავრობის კომისარ იურიცინს. იურიცინმა შემდეგი აცნობა: 24 მაისს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ბოლშევიკების გავლენით, მოინდომეს მთავრობის ხელში ჩაგდება. კომიტეტის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს იურიცინს ჩამდგარიყო მათ სათავეში. იურიცინმა დაუყონებლივ მოიწვია საბჭოს წარმომადგენელნი. დიდი კამათის შემდეგ გადასწყვიტეს უკან წაეღოთ დადგენილება. 25 მაისს საბჭომ რეზოლიუცია გამოიტა, რომლითაც ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას. ამავე დროს ზოგიერთმა აფიცრებმა და ჯარისკაცებმა აგიტაცია დაიწყეს საბჭოს წინააღმდეგ. ღამით ჯარის ერთმა ნაწილმა დაიჭირა საბჭოს ბინა. 27 მაისს საბჭოს და მოწინააღმდეგე ჯარის წარმომადგენელთა საერთო კრებაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო გადაადგა. საღამოზე ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდა. ინციდენტი გათავდა.

პროპორციონალური არჩევნები.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ დიდის ხმის უმეტესობით მიიღო პროპორციონალური სისტემა.

გაზეთის თანამშრომლის დატუსაღება.

სოკოლნიკი. მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცთა დეპუტატებმა დაატუსაღეს „ოკოპნაია პრავდა“-ს თანამშ. რადგან მას შეურაცყოფა მიუყენებია კერენსკისთვის. კერენსკი დეპ. შეეკითხა კომისარს გამოარკვიოს რაზე დაიჭირეს გაზეთის თანამშრომელი. თუ იმისთვის, რომ მან კრიტიკა გაუკეთა მის მოქმედებას და სიტყვას, მინისტრის აზრით, ის არ უნდა დაეტუსაღებიათ სიტყვის თავისუფლების დროს. ის სთხოვს გაანთავისუფლონ.

სპირიდონოვის ქალი.

ომსკი. სადგურზე დიდის ამბით შეხვდენ სპირიდონოვის ქალს, რომელიც პეტროგრადში გაემგზავრა.

შეტაკება.

ხოლუნი. [illegible] ტყვეთ, იქ ოსმალებთან შეტაკება მო გერმანელ და ოსმალელ აფიცრებს და ციათ 7000 კაცი; ქალაქი სრულიად და ცვიათ. სმირნის მიტროპოლიტს თავი მო კლავს.

კონფერენციის დელეგატები.

ლონდონი. რეიტერის ცნობით დამო დებელ მუშათა პარტიის დელეგატებს დონალდსა და დეიუეტს გარდა, რომ ბიც გემეზე სხედან და მეზღვაურები გადიან ზღვაში, არიან კიდევ ოფიციალ მუშათა პარტიის დელეგატები, პარლამენ წევრი ჯორჯ რობერტი, კარტერი, ბინსონი და ცნობილი სუფრაჟისტები კხერტსი და კენნი.

დროებითი სასამართლო.

პეტროგრადი. დროებით სასამართლო გაირჩა საქმე „ვოლნოოპრ.“ შინკევიჩის ჯარისკაც კავნიტორის. მათ აბრალებენ, 28 მაისს შოსეინი ქუჩაზე გააჩერეს ავტო ბილი, რომელიც პროკლამაციებს არიგე და მოსთხოვეს მოწოდებები. შემდეგ ბრბო თან ერთათ წავიდენ პარტიის ბიუროში, ნადგურეს ლიტერატურის საწყობი, გამოი ნეს ქუჩაში და დასწვეს. დამნაშავეებმა უ ყვეს დანაშაული და ამტკიცებდენ, ბრბოს ვამშვიდებდითო. სასამართლომ საქ გადასდო. გამოიწვევენ ახალ მოწმეებს.

ლენინისტები.

ხარკოვი. სადგურ დებალცევოზე ბრბ მოთხოვნით მილიციონერებმა დაიჭირეს მ ლდაური შჩეგლოვი, რადგან ის ბოლშევიზ აგიტაციას ეწეოდა. შჩეგლოვმა სთქვა, ის 600 კაცთან ერთათ გამოგზავნეს კრონ ტადიდან რუსეთის სხვადასხვა მაზრებში ა ტაციის გასაწევათ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 29 მაისი. ჩრდილოეთ, მინიის და კავკასიის ფრონტებზე ცვლილ არ არის.

პარიზი. 28 მაისი. ბელგიაში ჩვენმა არ ლერიამ გააცხოველა მოქმედება და საგრძ ბი ზარალი მივაყენეთ გერმანელების სა რებს. აგრეთვე გავდევნეთ მტრის რაზმ რომლებმაც მოასწრეს დამკვიდრება სი ჩრდილოეთით. ხელთ ჩავიგდეთ 10 ტყვე, შორის ერთი აფიცერი.

პ ერში ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავ

მალინოვსკის საქმე.

გაზეთ „რუს. სლოვო“-ში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობა „პრავდელების“ ლიდერის რ. მალინოვსკის პროვოკატორულ მოღვაწეობის შესახებ.

საგანგებო საგამომძიებლო კომისიას წარუდგინეს ვოლცელი მოხსენება, რომელიც ეხება ლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა საიდუმლოებას. ეს საბუთები პოლიციის დეპარტამენტის აგენტების მოღვაწეობას აღწერენ. ეს ლის წინ აგენტები მუშაობდენ ს.-დემოკრატ პარტიაში და უმთავრესათ ბოლშევიკებ ეებში.

ვს ამ მოხსენების მნიშვნელოვანი ად

მოკრატიულ პარტიის დანგრევა.

ულს,—აცხობს მოხსენება,—სოციალ ული პარტია, მესაიდუმლის სიტყვით, დანგრეული იყო. ცენტრალურ კო წევრთაგან რუსეთში თავისუფლათ იყო მხოლოდ მარტო ერთი ალექ (კლაინ, სევასტიანე). ცენტრალურ ტეტის საზღვარგარეთის ბიურო რამდე მეორეს ბოლშევიკე ნაწილათ დაიყო. დეპარტამენტი გაფაციცებით ადევნებდა პარტიის შესაფუთა პოლიციის დეპარტამენტის უმ ლებას იპყრობდა ლენინის მიქ ალურ კომიტეტის შესახებ, ლ ბოლშევიკებ ლენ ნელები ეყვენ განსაკუთრებული საქმე ჰქონ , რომელზედაც აქ ეწერა: ცენტრალურ კომიტეტის შესახებ“.

ბოლშევიკების კონფერენცია 1912 წელს.

1911 წელს, გაზაფხულზე ლენინის (ულიანოვი) ჯგუფმა განიზრახა მოეწვია სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია და მის მოსამზადებლად აირჩიეს საორგანიზაციო კომისია. ამ კომისიაში არჩეული იყვნენ: როზენფელდი (კამენევი), სემაშკო (ალექსანდროვი), რიკოვი, ლიუბიმოვი და ლოგინოვი (ტიშკო). რუსეთში საორგანიზაციო კომისიის მოსაწყობათ საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნეს რიკოვი.

ს.-დემოკრატიულ პარტიის ყველა ფრაქციებმა — მენშევიკებ - „ლიკვიდატორებმა“, „ბუნდმა“ და [illegible] კონფერენციის მოწვევას მტრულათ შეხედეს. მხოლოდ „ბოლშევიკ პრიმირენცები“ შეურთდენ „ბოლშევიკებს“, იმ იმედით, რომ მოახერხებდენ კონფერენციაზე პარტიის გაერთიანებას. პრიმირენცებს სათავეში ედგათ: დუბროვინსკი, ნოგინი, გარ—კელი, ლიუბიმოვი და რიკოვი.

რადგან ულიანოვ ლენინი შიშობდა, რომ რუსეთის საორგანიზაციო კომისია მისი სურვილისამებრ არ იმუშავებდა, გამოგზავნა რუსეთში თავისი აგენტები ადგილობრივ არჩევნების მოსამზადებლათ. აგენტებათ გამოგზავნეს: ბრესლავი, შვარცი, სავლიევი და გოლოშჩეკინი. პარიზის და საზღვარგარეთის, საორგანიზაციო კომისიის მთელი მოქმედება დამყარებული იყო პარტიის წევრ—დამცველ პოლიციის აგენტებზე: ბარიად ნაკისა (მათე კრაპოტკინი) რომანოვსა, პოლიაკოვსა (ისიდორე) და მარკუშევზე (კაპა).

პოლიციის დეპარტამენტის ტაქტიკა.

პოლიციის დეპარტამენტი კონფერენციის შესახებ განსაზღვრულ პოლიტიკას დაადგა. დეპარტამენტი ხელს არ უშლიდა მოეწვიათ კონფერენცია, მხოლოდ ყოველ საშუალებას ხმარობდა გარდა ლენინელ ბოლშევიკებისა სხვა მიმდინარეობის ან ორგანიზაციის წევრი არ გასულიყო დელეგატათ. ყველა აგენტები, რომლებიც ლენინმა გამოგზავნა და რომელთა თვითეული ნაბიჯი კარგათ იცოდა პოლიციის დეპარტამენტმა თავისუფლათ დადიოდენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და საარჩევნო აგიტაციას ეწეოდენ.

იმ აგენტებს კი, რომლებიც საზღვარ-გარეთის ბიუროსგან იყო გამოგზავნილი და „პრიმირენცების“ ჯგუფს ეკუთვნოდენ, პოლიცია იჭერდა. ამის შესახებ მოსკოვის დამცველ პოლიციის განყოფილების უფროსი სწერს პოლიციის დეპარტამენტს: „1911 წლის აგვისტოში „ბოლშევიკ პრიმირენცი“ რიკოვის დაჭერამ კარგი გავლენა მოახდინა პარტიის მუშაობაზე. პარტიას სათავეში ჩაუდგნენ თავისუფლათ დარჩენილი „ბოლშევიკ ლენინელები“.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლენინის დელეგატმა შვარცმა (სიმონი), რომელიც მოსკოვის დამცველ პოლიციის განყოფილების წარმომადგენელ პოლკოვნიკ ზავარზინის პირად ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდა. შვარცმა (სიმონ) შემდეგი პირები გაიყვანა საორგანიზაციო ბიუროში: ეკატერინბურგიდან—თვით შვარცი; ეკატერინოსლავიდან—ორზანიკიძე (ორჯონიკიძე?); ბაქოდან—ბრესლავი (ზახარია), თფილისიდან—ადრიანი, პეტროგრადიდან—ვლადიმერი.

პოლიციის დეპარტამენტი რუსეთის საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენელს სასტიკ თვალ-ყურს ადევნებდა. ის ხელს არ უშლიდა არჩევნებში იქ, სადაც მხოლოდ მარტო ბოლშევიკები იღებდენ მონაწილეობას, ხოლო უკეთუ შეამჩნევდა, რომ არჩევნებში მუშათა ფართე წრე ერეოდა, ის ხელათ იქ იყო გაჩენილი და არჩევნებიც იშლებოდა. ამ შემთხვევაში პოლიციის დეპარტამენტი იმ გზით მიდიოდა, რომელიც ლენინის დირექტივებში იყო აღნიშნული.

მოსკოვის დელეგატების არჩევა.

1911 წლის 13 დეკემბერს მოსკოვში მივიდა არჩევნების მოსახდენათ ლენინის აგენტი ბრესლავი (ზახარია). მან საქმე ფართე ნიადაგზე დააყენა. წარმომადგენელთა კრება მოხდა 29 ოქტომბერს 1911 წელს ბოგდანოვის ტრაქტირში, სადაც ყველანი დაიჭირეს.

ბრესლავის დაჭერის შემდეგ არჩევნების მოსახდენათ მოვიდა ლენინის მეორე აგენტი გოლოშჩეკინი, რომელმაც სხვა გზით დაიწყო მოქმედება. მან მოიწვია კრებაზე 5 კაცი: ვ. ნ. ლობოვისა (დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტის ცოლი) აფთიაქარის თანაშემწე ფილიპი, სტუდ. ნიკოლაევი, მუშა „უცნობი“, კიდევ ერთი მუშა, რომელიც დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტია.

ამ ჯგუფმა თავი პარტიის მოსკოვის კომიტეტათ გამოაცხადა, შეუკვეთა ბეჭედი და გოლოშჩეკინი და ლობოვისა აირჩია მოსკოვიდან დელეგატებათ კონფერენციაზე. ამგვარათ ლენინის ინსტრუქციის თანახმად მოსკოვიდან 5 დელეგატი აირჩია ვიწრო ჯგუფმა, რომელშიაც მარტო ბოლშევიკები შედიოდენ.

პრაგის კონფერენცია.

დამცველ პოლიციის განყოფილებამ ყოველაფერი დაწვრილებით იცოდა არჩევნების შესახებ, მაგრამ ხელს არ უშლიდა, რადგან სავსებით მოსწონდა ლენინის დირექტივები. დელეგატთა კონფერენცია მოხდა პრაგაში 1912 წელს 6 იანვარს.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ ამ კონფერენციაზე 13 დელეგატიდან 3 დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტი იყო: მალინოვსკი, რომანოვი და ბრიანდინსკი.

„ლენინელებიდან“ დაესწრენ თვით ლენინი, როზენფელდი, (კამენევი) სემაშკო და ტარშისი. ამ კონფერენციაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც პარტიის გარეშე უნდა დაეყენებინათ ყველა სოციალ-დემოკრატი, ვინც ლეგალურ მუშაობის მომხრე იყო.

შემდეგ კონფერენცია მთელი პარტიის კონფერენციათ გამოაცხადეს. აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც სხვათა შორის მალინოვსკიც მოხვდა. კონფერენციამ დაადგინა მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო დუმის არჩევნებში და მოსკოვის გუბერნიიდან პროვოკატორ მალინოვსკის კანდიდატურა წამოაყენა.

მალინოვსკის უთხრეს არა ლეგალურ მუშაობისთვის დროებით თავი დაენებებინა, რომ გადარჩენილიყო დატუსაღებას. ამავე კონფერენციაზე გადასწყდა საკითხი საზღვარგარეთიდან არა-ლეგალურ ლიტერატურის გადაზიდვის შესახებ და ამ საქმეს სათავეში ჩაუყენეს ტარშისი და დამცველ პოლიციის განყოფილების აგენტი ბრიანდინსკი; არალეგალური ლიტერატურა ბრიანდინსკის უნდა გაეგზავნა მოსკოვში რომანოვისთვის, რომელიც კიდევ პოლიციის აგენტი იყო. ამ აგენტს უნდა გაევრცელებია მთელ რუსეთში ეს ლიტერატურა.

1912 წლის 31 იანვარს კონფერენციასთან მოსალაპარაკებლათ მივიდა სახელმწიფო დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის ორი წევრი პოლეტაევი და შურკანოვი (ისიც დამცველ პოლ. აგენტი) მათთან მოლაპარაკების გასამართათ აირჩიეს: ლენინი, სპანდარიანცი და მალინოვსკი. ამგვარათ ამ თათბირში მონაწილეობას იღებდა სამი ბოლშევიკი—ლენინელი და ორიც დამცველ პოლიციის აგენტი (მალინოვსკი და შურკანოვი).

მალინოვსკი.

უპირველეს ყოვლისა ახლად არჩეული ცენტრალურ კომიტეტის წევრები შეუდგენ სახელმწიფო დუმის არჩევნებს.

საინტერესოა ამ მხრივ მოსკოვის გუბერნიის არჩევნები, სადაც დეპუტატათ მალინოვსკი გაიყვანეს.

ლენინელებს დიდათ შეუმსუბუქდათ მუშაობა, რადგან მათ გვერდით იმ გვარათვე მუშაობდა პოლიციის დეპარტამენტი. მოსკოვის რაიონში ლენინელებს მაგრათ ქონდათ ფეხი მოკიდებული და მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებში 15-ზე მეტი აგენტ პროვოკატორი იყო.

მალინოვსკის არჩევას ხელს უშლიდა იმ ქარხნის ხელოსანი გლები კრივოვი, რომელიც ემუქრებოდა მალინოვსკის ადგილიდან დათხოვნას. მაგრამ საიდუმლოთ საქმეში დამცველ პოლიციის განყოფილება ჩაერია და პოლიციის დეპარტამენტის ვიცე დირექტორს მოახსენა ყველაფერი და თან სთხოვა დაეჭირათ კრივოვი არჩევნების დროს, რომ მას ხელი შეეშალა მალინოვსკის არჩევისთვის, ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო ლიციის დეპარტამენტისთვის.

ეს აცნობეს შინაგან საქმეთა მინის და 1912 წლის 25 აპრილს კრივოვი და სლეს. მოსკოვში არჩევნების რამდენ დღის წინათ მოსკოვში გაგზავნეს პოლიც დეპარტამენტის ვიცე დირექტორი ვისარი ნოვი. მან გამოსინჯა მალინოვსკის სა და გაიცა. აღმოჩნდა რომ მალინოვსკი 1 წელს გაასამართლა პოლიციის ხაოლქო ს მართლომ მეოთხეჯერ ქურდობისთვის.

ეს ამბავი ვისარიონოვმა პოლიციის პარტამენტის დირექტორ ბელეცკის აცნო რომ სასამართლოს მიერ დასჯილს კანონ ძალით არჩევნების უფლება არა აქვს. ბელ კიმ ვისარიონოვის წერილზე შემდეგი წა რა: „მოსპონდეს შინაგან საქმეთა მინის დეე არჩევნების საქმე თავის-თავათ წ დეს“.

ეს რეზოლიუცია შეატყობინეს მოსკ დამცველ პოლიციის განყოფილების უფ მარტინოვს, რომელმაც 19 ოქტომბერს დეგი დეპეშა გაუგზავნა: „არჩევნები ჩვე ლებრივათ მიდის. გამარჯვება უზრუნველ ყოფილია. 26 ოქტომბერს არჩევნების შე მარტინოვი პოლიციის დეპარტამენტს ატ ბინებს „შესრულდა ხანაქებოთ“. ამავე დ მალინოვსკი ღებულობს ლენინის ცოლ რილს, რომელიც ულოცავს მას გამარჯვე არჩევნების შემდეგ პოლიციის დეპარტამე მა მალინოვსკის ჯამაგირი გაუდიდა—50 თიდან 500 მანეთი დაუნიშნა. არჩევ დეგ მალინოვსკი თანახმათ ლენინის დირ ტივებისა, უჩივეს სხვა ს.-დემოკრატ დეპ ტებს გაემგზავრონ კრაკოვში ლენინთან. მიდის ვლადიმირსკიში, იქიდამ გუბერნატო მა ცნობა მიიღო რა მიზანი ჰქონდა მალ ვსკის მისვლას და შეეკითხა პოლიციის პარტამენტს მიეცა თუ არა საზღვარ-გარ პასპორტი ს.-დემოკრატ სამოილოვის ამაზე ბელეცკიმ დეპეშით აცნობა „პასპ ტი უნდა მიეცეს“.

ყველა დეპუტატების წასვლა კრაკო აღარ მოხერხდა, წავიდა მხოლოდ მარტ ლინოვსკი, რომელმაც ლენინიდან მიიღო რექტივები.

კრაკოვში ლენინთან ხშირათ დადიო დუმის წევრები სოც.-დემოკრატი ბოლშ კები. ლენინი მათ უზიარებდა თავის ა სხვა და სხვა კითხვებზე.

ბმა გერმანელების 21 ჰაეროპლანი გაანადგურეს.

ლონდონი. 27 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, იპრის სამხრეთით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა ჩვენს პოზიციებზე იერიშები მოიტანა. იერიშებში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე სარეზერვო დივიზია; მაგრამ მათი იერიშები ყველგან მოვიგერიეთ. ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მესენისა და კლეინცილებეკეს აღმოსავლეთით. აქ ჩვენი ჯარი პოზიციებს ინარჩუნებს. მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებს. ლა-ბასეს პოზიციებიდან მოყოლებული ლანსას მიდამოებამდის გერმანელების პოზიციებს თავს ვესხმით. მდ. სუშეს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ნახევარ მილის მანძილით წინ წაიწია. აქ მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

რომი 28 მაისი. გორიცას რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სალკანოს ფრონტზე მტრის ზარბაზნები სავაჩუმეთ. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

ახალი ამბები

ა. ჩხენკელმა დეპეშით აცნობა ყველა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებს შემდეგი: დროებითი მთავრობის დადგენილებით ადგილობრივ თვითმართველობების არჩევნების დროს კომისარებს და მილიციაში მყოფ პირებს უფლება აქვთ პასიური და აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

◆ დროებითი მთავრობის დადგენილებით ყველა სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობისა საზოგადო კანონით. ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობა მიმართავს სამხედრო გარნიზონის უფროსს, რომ მან წარუდგინოს საერთო სია, ვისაც საზოგადო კანონით უფლება ეძლევა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

◆ კავკასიის წვრილ-მრეწველთა მუშების კომიტეტმა ამნისტიით განთავისუფლებულ პოლიტიკურების კომიტეტს გადასცა 35 მან.

◆ ორშაბათს, 29 მაისს, ქ. ტფილისში დაიკარგა ლურჯი ბილეთი მიღებული ონის სამხედრო საკრებულოში 1904 წელს პარმენ კაციას ძე გვიმრაძის სახელზე. მნახველს ვთხოვთ გამოგზავნოს შემდეგ მისამართით. ნაძალადევი, [illegible] ქუჩა, 18. პარმენ გვიმრაძეს.

◆ 28 მაისს მოხდა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მუშათა და გამგებლების შეერთებული კრება, რომელზედაც დაესწრო მუშათა კომისიის წარმომადგენელი ვლ. ხერიძე. აღმოჩნდა, რომ ამ დაწესებულებაში მრავალი უწესოება მომხდარა. მოხდა ახალი არჩევნები აღმასრულებელი კომიტეტისა. აგრეთვე 140 მუშამ აირჩია უპრიევი მუშათა დეპუტატების საბჭოში. ხერიძის წინადადებით არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია რკინის გზის უფროსს, მის თანაშემწეს და ყველა განყოფილებების უფროსებს.

◆ 15 მაისს სოფ. ზოგანში (კახეთში) მოსულა სეტყვა, რასაც მთელი სოფლის ჭირნახული გაუნადგურებია. სოფელში 43 კომლია. ვენახებს უჭირავს 25 დესეტინა, ნათესს 50, ყოველივე ეს მიწასთან გასწორებულია. ზარალი დიდია. საჭიროა დახმარება.

◆ ივნისის შუა რიცხვებში გამართულ იქნება ახალ კლუბში საღამო „ალიონის“ რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ.

◆ 29 მაისს მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა პროპაგანდისტების კოლეგიების შეერთებული კრება. პირველი კითხვა იყო ამ კოლეგიების გაერთიანება. აირჩიეს საერთო ბიურო, რომელშიაც შევიდა 8 კაცი, 6 მუშათა კოლეგიისაგან და ორიც სალდათთა კოლეგიისაგან. დადგენილ იქნა მოიწვიონ კიდევ ერთი მდივანი. გამოითქვა სურვილი გაფართოებულ იქნას გამომცემლობა. ჯარში გაზეთების გამავრცელებელმა ბიურომ თავისი ნაწილი შემოსავლისა გადასცა გამომცემელ კომისიას.

◆ გიდრო ტეხნიკური სიეზდის მიერ ამორჩეულმა კომისიამ მიმართა მუშათა კომისიას და სთხოვა, რომ ის სალდათები, რომელნიც ამ დაწესებულებებში მუშაობენ გათანასწორებულ იქნან ჯამაგირის მხრივ საზოგადო მუშებთან. ამ საქმის ინიციატორი, ინჟინერი ლაზარევი ამ მოთხოვნას მხარს უჭერს და ამბობს, რომ ყოველი შრომა უნდა დაფასებულ იქნას. მუშათა კომისიამ გადაწყვიტა ამ კითხვის გამორკვევაში მონაწილეობა მიაღებინოს ჯარის კაცთა დეპუტატებს და საბოლოოთ ეს კითხვა იქ გადაწყდეს.

◆ მუშათა კომისიამ თავის სხდომაზე გადაწყვიტა, რომ თავის წარმომადგენლები იყოლიოს ხოლმე პროფესიონალურ კავშირების ბიუროს კრებებზე; ყოველ კრებას დაესწრება სამი კაცი გადამწყვეტი ხმით.

◆ სოხუმიდან იტყობინებიან, რომ იქ ვრცელდება საქონლის ჭირი.

კრებები და მიტინგები.

რაჭა-ლეჩხუმიდან ჩამოსული დელეგატები მუშათა და გლეხთა ყრილობისა, სთხოვენ ყველა თფილისში მცხოვრებ რაჭველ-ლეჩხუმელ მუშებს და მოსამსახურეებს განურჩევლად სქესისა და მდგომარეობისა, დღეს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე—მობრძანდენ ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, სადაც დელეგატები წაიკითხავენ მოხსენებას რაჭა-ლეჩხუმის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და გაიმართება თათბირი, თუ რა პასუხი გასცენ იქ წამოყენებულ საჭირბოროტო კითხვებს.

— დღეს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე ჟელაბრის კლუბში კახეთის ქ. № 1 მოხდება კრება მე 3 რაიონის ქოლექტ. თფილ. ორგ. რ. ს. დ. მ. პ-სა. ამხანაგებს სთხოვენ კრებაზე არ დაიგვიანონ.

— დღეს 31 მაისს პროპაგანდისტების კურსებზე მ. რუსსია წაიკითხავს ლექციას: მამოძრავებელი ძალები რუსეთის რევოლიუციისა და დროებითი მთავრობა. ლექცია დაიწყება საღამოს 7 ნახ. საათზე მესამე საქალებო გიმნაზიაში.

— დღეს 31 მაისს დილის 10 საათზე მოხდება კრება მემანქანეებისა ორთქლმავლების დეპოში თემა: ქალაქის გამგეობის არჩევნებში.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ზია. 21 მაისს ეგნატეს 23 წლის თავზე გადახდილ იქნა პანაშვიდი ნინოშვილის მოსახსენებლათ. ხალხი ბლომათ დაესწრო.

ჩოხატაური. სოფელ ციხეს გაიხსნა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო ზენიაზე გიგოს ძე ჩხიკვიშვილის სახლობაზე.

რუსეთის ამბები.

ალექსანდრეს სასახლის ტყვეები. მაისის პირველ რიცხვებში ცარსკოე სელოში მივიდა პეტროგრადის სამხედრო ოლქის დროებით უფროსათ დანიშნული პორუჩიკი კუზმინი. როგორც მისი ბრძანებიდან სჩანს მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ გარემოებას, რომ ყოფილი მეფის ნიკოლოზ რომანოვის და მისი ცოლის დაცვის საქმე ვერ ყოფილა რიგზე დაყენებული. მოდარაჯე ჯარის კაცები თურმე ისე იქცევიან, თითქოს აქ არაფერიაო, სხდან, პაპიროსებს სწევენ და გამვლელ-გამომვლელს ემასლაათებიან. „გახსოვდეთ, რომ—სწერს თავის ბრძანებაში კუზმინი—თქვენ ხელთ არის ის საზარი მტაცებელი ფრინველი, რომელიც ფლეთდა თქვენ გულს, ხარბათ ეწაფებოდა თქვენ სისხლს, თქვენი ვალია ფხიზლათ იყოთ და ეს ფრინველი არ გაგექცეთ, მოვითხოვ, რომ ალექსანდრეს სასახლის დაცვა სრულდებოდეს სასტიკათ.

ქუჩა.

ქუჩა აღსდგა, აბობოქრდა, ხმა გმირულად აღიმაღლა,
ქუჩა აღსდგა და ასწია გამარჯვების დროშა მაღლა;
თავისუფალ მებრძოლ გმირებს ლალ-დროშებით დაატარებს,
ახალ ყოფნის ჰელად იქცა, ქუჩა აღსდგა და ნეტარებს..
და, სადაც რომ გაისმოდა მხოლოდ ტანჯულთ კვნესა, გმინვა,
სად შრომის შვილთ უსახლკაროს ცივ ზამთარში ჰზრავდა ყინვა,
სადაც საპყარ მათხოვრები გროშს ითხოვდენ ხელ-გაწვდილნი,
და ეყარენ გზის პირებზე დაფლეთილნი, ფერ-მიხდილნი,
სადაც დები ლუკმისათვის ნამუსს ყიდდენ თვალმიმქრალნი,
სადაც გულქვა სველაღები მიმოქროდენ ვნებით მთვრალნი,
სად მრავალჯერ გზატკეცილი ჩაგრულთ სისხლით გაიბანა,—
—იქ იფეთქა ბრძოლის ცეცხლმა, მტრებზე რისხვა მიიტანა,
ძირს დაამხო მტარვალთ ტახტი, უგალობა სულთათანა...
ქუჩა აღსდგა, ძველი ყოფნა შავს უფსკრულში ჩაიტანა.
ჯოჯო-გველნო, ღამის მცველნო! თქვენ იცნობდით განა ქუჩებს?
იგი ახალ სიცოცხლეს სჭედს, ყოფნის გრდემლზე სცემს ჩაქუჩებს,
ყოფნის გრდემლზე ბრძოლის ხმლებს სჭედს, თქვენზე მოდის იერიშით!.
ავსულთ-ძალნო და მტარვალნო! ძრწოდეთ მუდამ ქუჩის შიშით!!..
ქუჩა აღსდგა! ახმაურდა, ხმა გმირულად აღიმაღლა,
ქუჩა აღსდგა და ასწია გამარჯვების დროშა მაღლა.

ი. სიხარულიძე.

— **იუსტიციის მინისტრ პერევერზევის წინადადება.** იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა უმაღლეს მთავარ სარდალს შემდეგი წინადადებით მიმართა: რადგან დღეს რკინის გზებზე ჯარის კაცები დიდ უწესოებას ახდენენ, უკეთუ შეიძლება ჯარისკაცებს ნება აღარ მისცეს ფრონტიდან სახლში წამოსვლის. გარდა ამისა იუსტიციის სამინისტროს აზრათ აქვს რკინის გზის საქმის მოწესრიგების პროექტში ერთი ახალი მუხლი შეიტანოს. ამ მუხლის ძალით ვისაც უბილეთოს ნახავენ მატარებელში სამი თვით დაატუსაღებენ ან 300 მ. ჯარიმას გადაახდევინებენ. სასტიკათ დაისჯება აგრეთვე ის პირი, რომელიც სხვის ფორმას ატარებს, რადგან ამ ბოლო დროს გამოაშკარავდა, რომ ვიღაცეები სამხედრო ფორმას იცვამენ, როცა მათ ამის არავითარი უფლება არა აქვთ და უბილეთოთ მოგზაურობენ.

— **არეულობა პეტროგრადის გუბერნიაში.** ამ უკანასკნელ დღეებში პეტროგრადის გუბერნიაში აქა-იქ მოხდა გლეხების არეულობა. ბევრი მაგალითი იყო, რომ გაბოროტებულმა გლეხებმა დაიტაცეს კერძო მემამულეთა ქონება და ზოგჯერ სახაზინოც. გდოვის მაზრაში გლეხებმა გადაჭრით უარი უთხრეს „ლიუდმინსკის“ სავაჭრო სახლის წარმომადგენელს გაეტანა ხე-ტყე, რომელიც დამზადებული იყო ზოგი პეტროგრადისთვის და ზოგიც გზების შესაკეთებლათ. რადგან უწესოებამ ფართე ხასიათი მიიღო, სოფლად ჯარები გაგზავნეს.

— **გ. პლეხანოვის განცხადება.** გაზეთ „ედინსტვო“-ში გ. პლეხანოვმა შემდეგი მოათავსა: როგორც გადმომცეს ზოგიერთი ჩვენი ემიგრანტები, რომლებიც საზღვარ გარეთიდან დაბრუნდენ და გერმანიაზე გამოიარეს შემოსულან გაზეთ „ედინსტვო“-ს რედაქციაში და ჩემი ადრესი უკითხავთ. მაპატიონ ამხანაგებმა თუ ზნეობრივათ შეუძლებელია ჩემთვის მათი შეხვედრა.

— **ბეჭდვითი საქმის კრიზისი.** პეტროგრადში 37 ჟურნალის წარმომადგენლებმა თათბირი გამართეს ბეჭდვითი საქმის მდგომარეობის გამოსარკვევათ. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც აღნიშნა, რომ ბეჭდვითი საქმის მდგომარეობა მეტათ უნუგეშოა, სასტამბო სამუშაოებზე ათჯერ მეტი გახდა ფასები. ასეთი მდგომარეობა რევოლიუციის გაღრმავებას მეტათ ხელს უშლის. იმ დროს, როდესაც ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მოთხოვნილება გაფართოვდა, მათი ბეჭდვა შეუძლებელი გახდა სიძვირის გამო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. საჭიროა სტამბის მეპატრონეთა მოგება შემცირდეს და განისაზღვროს სამუშაო ქირაც. თათბირმა ასეთი წინადადებით მიმართა დროებით მთავრობას.

— **დამფუძნებელ კრების არჩევნები** დამფუძნებელ კრების შესახებ საგანგებო თათბირის საიურიდიულო კომისიამ შეიმუშავა საარჩევნო პროექტი. საარჩევნო სიის შედგენა, ამ პროექტით, ევალება საუბნო, სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო დაწესებულებებს და სენატს. სიებს შეადგენენ საუბნო დაწესებულებები, რომლებსაც ირჩევენ სავოლოსტო და ქალაქის თვითმართველობები. სამაზრო კომიტეტები იქნებიან სააპელაციო ინსტანციები არჩევნების უწესოთ მოხდენის შესახებ და საგუბერნიო კომიტეტები კი როგორც საკასაციო ინსტანციები და თვალ ყურის მდევი და ხელმძღვანელი ორგანო. საარჩევნო ხარჯები დაეკისრება ქალაქებს და სოფლებს. როგორც კი საბოლოოდ შეიმუშავებენ საარჩევნო კანონს მაშინვე ყველგან დეპეშით აცნობებენ არჩევნების დასაჩქარებლათ.

— **ფინლიანდიელების მოთხოვნა.** ფინლიანდიელებმა დროებით მთავრობას მოთხოვნები წარუდგინა. ეს მოთხოვნები შეეხება შემდეგს: 1) ფინლიანდიაში უმაღლეს ადმინისტრატიულ სასამართლოს მოწყობა, 2) სეიმის შესახებ კანონების შეცვლა, ე. ი. პარლამენტარიზმის შემოღება, 3) ებრაელთა უფლებრივი გათანასწორება. ყველაზე მთავარი მუხლი ამ მოთხოვნებში ავტონომიის საკითხი არის, ფინლიანდიელები მოითხოვენ, რომ ავტონომიის სრულიგარანტია მათ უნდა მისცეს არა მარტო რუსეთმა, არამედ სხვა უცხო სახელმწიფოებმაც.

ქალაქთა კავშირის მთელი კავკასიის თანამშრომელთა დელეგ. ყრილობა.

კრება გაიხსნა 21 მაისს შუადღის 12 საათზედ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. საორგანიზაციო ბიუროს სახელით კრებას მიესალმა ბიუროს თავმჯდომარე და მოკლე სიტყვის შემდეგ წინადადება მისცა კრებას ფეხზედ ადგომით პატივი ეცათ რევოლიუციაში დახოცილებისთვის.

შემდეგ შემოაქვთ საჩქარო წინადადება: რადგან დღეს ქალაქში მანიფესტაციები ხდება ფ. ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატებლათ, ამიტომ ჩვენი ვალია, ჩვენი ხმაც შევუერთოთ ამ დიდ პროტესტს და შევუერთდეთ მანიფესტანტებს. კრება ერთხმათ ღებულობს ამ წინადადებას და განსაკუთრებულ პლაკატით გამოდის ქუჩაში.

მორიგი კრება იხსნება საღამოს 7 საათზე. პირველად კრებას ესალმება ქალაქის თავი, ქალაქთა კავშირის კავკასიის მთავარი რწმუნებული ხატისოვი. ის თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა ღვაწლს ჯარის საჭიროებათა სამსახურში და სხვა.

შემდეგ კრებას ესალმება ექიმები მარტონოვი, მიასნიკოვი და კიკალიშვილი.

შემდეგ კრებას ესალმებიან სხვადასხვა პარტიის ოფიციალური წარმომადგენლები და სხვა. კრებას ვერ ესწრება მხოლოდ სოც.-დემ. ოფიციალური წარმომადგენლები, რადგან ამავე დღეს ისინი კავკასიის გლეხთა დელეგატების კრებაზე არიან. კითხულობენ მისალმების დეპეშებს სხვადასხვა ადგილებიდან, დაყოფილია ფრაქციებათ ერთი მხრით ს.-დ. ძლიერი ფრაქცია და მეორე მხრით კი ესერების, ესფერების და დაშნაკელების ბლოკი სოც.-დემ. უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენს. არ არიან დელეგატები ქალაქ თბილისიდგან. კრება ირჩევს სამანდატო კომისიას და იშლება საღამოს ათის ნახევარზედ.

შემდეგი კრება დანიშნულია 22 მაისს ნაშუადღევს 3 საათზედ.

ივ. ესიკაშვილი.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მეცხრე დღე, 29 მაისი).

თავმჯდომარეობს გრ. გიორგაძე. აგრარული საკითხის გადასაჭრელათ პრაქტიკულ ზომების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვლ. ემუხვარი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღეს თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ შეუძლებელია მთელი რუსეთისათვის ერთ შაბლონური ზომის გამოყენება აგრარულ საკითხის გადასაჭრელათ, საჭიროა თვით ადგილობრივ ორგანოებმა მოაწესრიგონ ეს საკითხი. ამ აზრს დღეს თვით ს.-რევოლიუციონერებიც იზიარებენ. რომ კითხვა სისწორით გადიჭრას დამფუძნებელ კრებაზე, საჭიროა მისი შესწავლა. ამისთვის 21 აპრილს გამ ცა კანონი, რომლის ძალით სამიწათმოქმე სამინისტროსთან არსებობს მთავარი საადგ მამულო კომიტეტი, რომელმაც უნდა შე წავლოს აგრარული საკითხი ადგილ კომიტეტში შედიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და სახ. დ ის დროებით კომიტეტის წარმომადგენლებ აგრარულ საკითხის მცოდნე პირები, სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები და თითო წარმომადგენლები საგუბერნიო კომიტეტებისაგან. ეგევე კომიტეტი სცემს დეკრეტებს საჩქარო საკითხების მოსაწესრიგებლათ. საგუბერნიო და სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტები შესდგება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებისა და ოთხფორმულიან საარჩევნო სისტემით შემდგარ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან. მათი დანიშნულებაა მოაწესრიგონ აგრარული საკითხი, შეა როვონ მასალები, სტატისტიკური ცნობები საკითხის დამფუძნებელ კრებაზე გადასაჭრელათ. მთავარი საადგილ-მამულო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას, ის მალე გამოსცემ ნაკაზს მომრიგებელ კამერათა შესახებ და რა დენათ ამ კამერებს ექნებათ სამედია სასამართლოს ხასიათი და მოეწყობიან ტატულ პრინციპზე, იმდენათ მათი გენილება სავალდებულო იქნება ორივ რისათვის. მომხსენებელი მოუწოდებს სწრაფით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტეტების მუშაობაში და საჭიროთ აღი მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტ გლეხობის მონაწილეობას, და ხსენებულ კანონის ყველა ენაზე გავრცელებას.

სიტყვა ეძლევა ს. რევოლიუციონერთა წარმომადგენელს ამხ. ი. ქარცივაძეს, რომელიც ეხება ს.-დ. აგრარულ პროგრამას და ამბობს, რომ არა ს.-რევ. დაუტოვებიათ პოზიციებ როგორც ემუხვარი ამბობს, არამედ თვით ს.-დ. მოუახლოვდენ ჩვენს პროგრამასო. მომხსენებელი არკვევს ს.-რ. პროგრამას, აღნიშნავს, რომ პროლეტარიზაცია დამღუპვ სოციალიზმისთვისო და სხ. კითხუ ფრონტის სიეზდის მიერ მიღებულ ლიუციას და მოუწოდებს დამსწრეთ თდენ მას.

ჩაეწერა 36 ორატორი. სიეზდმა და სიტყვა მიეცეს მხოლოდ 6 ორატო გლეხს და თითო წარმომადგენელს ბოლშ., და ს.-რ.

ტომილინი. (გლეხი). ჩვენ ვცხოვრობთ კასიაში, სადაც მიწა სულ სხვაა, ვინემ სეთში, აქ რომ მიწით ისარგებლო, როა წინასწარი შრომა გასწიო, შრო, გასწმინდო ადგილი ქვებისაგან, ნო არხები და სხ. ასე, ყველა საკუთ ზე ოფლს ვღვრით, ვშრომობთ, მეურნეობას და უცებ, რ (передѣлъ) გამოცხად გადასცეთ ჩემი ნაშრომი ტორებს მოაწყონ ისე საქმე მოახერხოს სხვისი ნაშრომის მით

მუღლა-კარა. (მუს. გლეხ.) მოითხოვს შორის სოლიდარობისა და ძმობა განმტკიცებას, ამას თვით ჩვენი სარწმუნოებაც მოითხოვსო. ორატორი მოითხოვს სახელმწიფო, სამონასტრო და სხვა მემამულეთა მიწების კონფისკაციას, ხოლო მათ, ვისაც განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლები ექნება, არ უნდა ჩამოერთვასო. ისე უნდა გადავჭრათ საკითხი, რომ რევოლიუციონური მოძრაობის მთლიანობა არ დაირღვეს, რომ ძველმა რეჟიმმა ისევ არ წამოყოს თავიო.

გონაშვილი (ქიზიყელი გ) ილაშქ ქარცივაძის წინააღმდეგ, რომ ლმაც უ ს.-დ. აგრარული პროგრამას უწ ამბობს, რომ პირველი მერცხალი თავ ლებისა გლეხებში იყო სოციალ-დემოკრა ს.-რევოლიუციონერებს ჩვენ დღესაც ვხედავთ, არიან მათი მიმდევრები ს.-ფედ ლისტები, მაგრამ გლეხები მათ ზურგს უ ნებსო. მე—განაგრძობს ორატორი—ქიზ ლი ვარ, იქ კიდევ არის დარჩენილი თემ მიწათმფლობელობა, რომელსაც ასე ეტრფ ს.-რევოლიუციონერები, მაგრამ ამით არ თაც არ უ ჯობესდება ხალხის გ ზიყის ერთ ნაწილში ხვნა თესვა მიწა თანასწორათ იყო განაწილ რამ გლეხობა მალე დარწმუნდა, რ მიწა არ შეადგენს ბედნიერებას. სოფ ახლო მდებარე მიწები უკვე კერძო საკუთრებაში გადავიდა. არიან გლეხები, რომლებსაც არ გააჩნიათ არავითარი ინვენტარი, მათ ვერ შესძლეს მიწის დამუშავება, რადგანაც ხარჯი შემოსავალზე მეტი იყო და იძულებული გახდენ გაქირავებულიყვენ იქ, საიდანაც შესძლებდენ შრომის საფასურით ცოლ-შვილის გამოკვებას. ეხლა ს.-დ. მოძღვრებასაც კარგათ ითვისებენ გლეხთა გალატაკება ქიზიყში თანდათან მატულობს. 1907 წ რომლებსაც ხარი არ

ლენინი ცდილობდა თავის დირექტივებში ხაზი გაესვა, რა განსხვავება იყო ბოლშევიკებსა და მენშევიკებ შორის. ყველა ამას დაუყონებლივ აცნობებდა მალინოვსკი პოლიციის დეპარტამენტის ვიცედირექტორ ვისსარიონოვს, რომელიც დაწვრილებით სწერს მალინოვსკის ნაამბობს.

დუმაში წარმოსათქმელ სიტყვებს მალინოვსკი ვისსარიონოვს აძლევდა გასასინჯათ და მას შესწორება შეჰქონდა. **ვისსარიონოვი მალინოვსკისთან საუბრის დროს ხშირათ წამოაყენებდა ხოლმე საკითხს, რომ შესაძლებელი იყო დუმის ს.-დემოკრატიულ ფრაქციის გათიშვა, რასაც ცდილობდა ლენინი და მას ხელს უწყობდა პოლიციის დეპარტამენტი,** რაც აშკარათ სჩანს დეპარტამენტის ცირკულიარიდან.

ლენინი და მალინოვსკი.

რომ მალინოვსკი მაღალ ღირსებიანი და პატიოსანი კაცი იყო, ამაში ორივე ბანაკი ღრმათ დარწმუნებული იყო (ლენინი და პოლიციის დეპარტამენტი). თითქმის მალინოვსკის „ანარქისტულმა“ საქციელმაც (1914 წელს რუსეთიდან გასვლა) ვერ შეარყია ლენინის რწმენა და მალინოვსკის შესახებ ცუდი ხმების გავრცელება მიაწერა „ლიკვიდატორებს“, რომლებიც საზიზღარ ცილის წამებას ეწეოდენ“. ლენინი მალინოვსკის რუსების ბებელს ეძახდა.

ვიცე დირექტორი ვისარიონოვი ასე ახასიათებს მალინოვსკის: „საინტერესო, ყოვლაფრის მცოდნე, თანამშრომელი, რომელიც ერთგულათ ემსახურება პოლიციის დეპარტამენტს და სხვა მის გვარ ორგანოებს“

პოლიციის დეპარტამენტის პოზიცია.

შეკრებილ მასალიდან ნათლათ სჩანს, ნათქვამია მოხსენებაში, რომ პოლიციის დეპარტამენტმა დეტალურათ შეისწავლა ს. დემოკრატიულ პარტიის შინაგანი ცხოვრება და მის შესახებ განსაზღვრული პოზიცია დაიჭირა ეს პოზიცია ასეთი იყო: **როგორც კი პარტია რაიმე მოქმედებას იწყებდა პოლიციის დეპარტამენტი ყველა ფრაქციის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობდა, გარდა ლენინელებისა, რომელსაც სრულ თავისუფლებას აძლევდა სხვა მიმდინარეობებთან საბრძოლველათ.** პოლიცია შიგ გულში ჩაუძვრა ლენინის პარტიას თავის აგენტების მეოხებით და ის თავის დღეში არ ცდილობდა მის საბოლოო მოსპობას და მუდამ სტოვებდა ვინმეს „მოსაშენებლად“.

1916 წ. კი—460. მაშასადამე, მარტო მიწა ვერ დააკმაყოფილებს გლეხს და თუ მოვსპეთ დაქირავებული შრომა—გლეხს აუტანელ მდგომარეობაში ჩავაყენებთ. ქიზიყის მეორე ნაწილში განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობა, აქ არის თამბაქოს პლანტაციები, სადაც მუშაობენ გლეხობა და დიდ სარგებლობასაც იღებენ. 100—150 თუმნამდი აკეთებს 6 თვის განმავლობაში, მაშინ როცა სოფელში 50 თუმნის ხარჯს 50 თუმანზე მეტი შემოსავალი არც კი მოაქვს... და თუ აქაც მოვსპეთ დაქირავებული შრომა. გლეხობა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება. აქ გვეუბნებიან, მხოლოდ იმოდენს დაგიტოვებთ მიწას, რამდენის დამუშავებასაც შესძლებთო. ვთქვათ, გლეხმა ვერ დაამუშავა (ზედმეტი) მიზეზების გამო ნაწილი თავის მიწისა, რომლის ზომა ნორმაზე ნაკლებია. თქვენ უნდა ჩამოართვათ მას ზედმეტი, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი უსისხლოთ არ დაგითმობს იმ მიწის ნაჭერს, რომელიც თავის ოფლით მოურწყავს. მე არ შემიძლია გავყიდო ჩემი შრომის ნაწარმოები, მაგ. ღვინო, ვინაიდან მიწის გაყიდვა არ შეიძლება, და ისე კი ღვინოს ხომ ვერ ავჭამ, და ეს მაშინ, როცა ფაბრიკანტებს პატრონს ქალაქში უფლება ეძლევა გაყიდოს თავისი ნაწარმოები...

მიწის სოციალიზაცია ვერ დაიხსნის გლეხს გაჭირვებისაგან, არ არის ინვენტარი, არ არის საჭირო ცოდნა და სხ. იგი იძულებული იქნება ასეთ პირობებში მიატოვოს მიწაც და ქალაქს მიაშუროს... გვეუბნებიან, მოგცემთ ინვენტარსო, მაგრამ ეს განუხორციელებელი დაპირებაა.

—

ალომის სხდომაზე გრძელდება კამათი აგრარულ საკითხის შესახებ. პირველად ლაპა- კობს ვ. ჯუღელი, რომელიც ილაშქრებს ცივაძის წინააღმდეგ და იცავს რა მიწის ციპალიზაციას აღნიშნავს, რომ ს.-რ.-ების წინაპრებმა განიცადეს ევოლიუცია, რომელმაც ისინი მიუახლოვა მარქსიზმს. მარქსიზმა თეორიაში დაამარცხა ს.-რ. ხოლო ცხოვრებამ პრაქტიკაში. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ გლეხის ფსიხოლოგიას, მისი ინტერესებისათვის ხდება დღეს რევოლიუცია და ჩვენ არ უნდა შევახოთ ხელი წვრილ მესაკუთრეთა მიწებს, არ უნდა მოვახდინოთ მათი ექსპროპრიაცია, თორემ გლეხებს ავამხედრებთ რევოლიუციის წინააღმდეგ.

ალე ლონისძიება, რომელიც ხელს უშლის ტალიზმის განვითარებას სოფელში—რეაქციურია. ასეთია მიწის სოციალიზაციაც. ალიზმის ფრონტის გარღვევა მოსახერხებელია ქალაქში, სადაც მუშათა კლასი უფრო შეკავშირებული და ძლიერია და არა სოფელში მიწის სოციალიზაციით, როგორც ს.-რ. ფიქრობენ. აგრარულ საკითხის გადაჭრის დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში თმეურნეობის მრავალფეროვანობა. არ ება დაქირავებული შრომა მოვსპოთ შინ, როცა იგი არსებობს ქალაქში. უნდა გადავცეთ ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმმართველობებს, რომლებიც მოაწყობენ მიწით სარგებლობას, ხოლო გან ნორმაზე ნაკლები არ უნდა ჩამო-

ქარცივაძე უპასუხებს გლეხებსა და ჯუღელს და სხვათაშორის ამბობს, რომ კოოპერაცია მიგვიყვანს სოციალიზმამდე და არა მარქსისტების მიერ ნაჩვენები გზა... ბოლშევიკების ორატორი სხდომას არ დაესწრება.

მომხსენებელი გ. ათოლდო თავის საპასუხო სიტყვაში ეხება ქარცივაძის სიტყვას და არღვევს ყველა მის დებულებებს. ჩვენს შორის—ამბობს მომხსენებელი, ამ საკითხში არ არის არაფერი საერთო. ისინი ხელმძღვანელობენ იდეალისტურ თვალთახედვის ისრით, ჩვენ კი მატერიალისტურით. ისინი ფიქრობენ, რომ შეგნება ქმნის მდგომარეობასო, ჩვენ კი ვამბობთ, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას. მომხსენებელი აღნიშნავს, თუ როგორ უარყო ცხოვრებამ სოც. რევოლიუციონ. შეხედულება რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებაზე და ამბობს, რომ ჩვენ ყოველთვის გამოვდიოდით საწარმოო ძალთა განვითარების თვალთახედვიდანო. განმარტავს მეცნიერულ სოციალიზმის დებულებებს და ამბობს, რომ პაუპერიზაციის (გაღატაკების) თავიდან აცილებლათ საჭიროა აგრარულ საკითხში დავადგეთ ჩვენს შეხედულებასო. თქვენ ეუბნებით გლეხებს და ისიც ფიქრობს, რომ მიწა ღვთისაა, რუსის გლეხს საზოგადოთ ყველაფერი ღვთის ჰგონია, მაგრამ როცა ეკითხებით მას თუ ვისია მიწა დანახარჯ შრომის მხედვით, ის გიპასუხებს, ჩემიაო. ჯერ ორ ძმათა შორის მიწის განაწილება იწვევს დიდ უთანხმოებას და შფოთს, რა უნდა მოხდეს მიწების განაწილების დროს? სოფელი სოფლის წინააღმდეგ წავა, დავა თუ ურთიერთაშორის ბრძოლა გაჩაღდება გლეხი ყოველთვის გეტყვის, მე თქვენი ვარ, მაგრამ მიწა კი ჩემიაო, ასეთია წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგია და ჩვენც ანგარიში უნდა გავუწიოთ მას ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობა არ წარმოადგენს დღეს მთლიან ერთეულს, იგი დანაწილებულია ეკონომიურათ და თითოეულ ნაწილისათვის ჩვენ ცალკე პასუხი გვაქვს. ჩვენ ვეუბნებით გაღარიბებულ გლეხობას, რომ მისი და პროლეტარიატის ინტერესები ერთია, რომ ბედნიერება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი, არ ვკვებავთ მათ დაპირებებით და ილუზიებით, ვინაიდან ოცნება ჩვენს დროში მეტათ მავნებელია.

მომხსენებელი კითხულობს მუხლებს, რომლებიც უნდა დაედვას საფუძვლად რეზოლიუციას. ს.-რ. წარმოადგინეს ის რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ფრონტის სიეზდზე. ბოლშევიკებიც თავის რეზოლიუციით გამოვიდნენ. უყარეს კენჭი. ს.-დემოკრატების მიერ წარმოდგენილ ზემოთ დასახელებულ მუხლებს ხმა მისცა 122, წინააღმდეგ 21 და თავი შეიკავა 4 კაცმა. ბოლშევიკებმა მიიღეს 8 ხმა, ხოლო ს.-რევოლიუციონერების სოციალიზაციამ—19. ამნაირათ, სიეზდზე სავსებით გაიმარჯვა ს. დემოკრატების პოზიციამ—მიწის მუნიციპალიზაციამ.

აგრარულ საკითხის შესახებ რეზოლიუცია და ის მუხლები, რომელიც მას საფუძვლად დაედვა—დაბეჭდილი იქნება შემდეგ ნომერში.

ვ. ალათიშვილი.

ციალდემოკრატიულ პარტიაში

შემოქმედი. (გურია).

კვირას, 14 მაისს, ადგილობრივი ორკლასიანი სკოლის შენობაში შესდგა რ. ს. დ. მ. პ. შემოქმედის სარაიონო ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება.

კომიტეტში არჩეულ იქნენ: ფრიდონ ჭანუყვაძე, იაკინთე მამულაიშვილი და ილარიონ ელიაძე. კოლექტივში: ეტიფანე ცეცხლაძე, დავით გუგუნავა, კოლია ჩხარტიშვილი, ფრიდონ ჭანუყვაძე, ერასტო თიკანაძე, იაკინ მამულაიშვილი, დავით ერქომაიშვილი, ერო შილაკაძე, ილარიონ ელიაძე, პავლე უყვაძე, თონ ჩიტაიშვილი, ნესტორ აძე, ილარიონ ჯაფარიძე, ლევარსი ხოიკა და თედორე ჩიტაიშვილი.

„ჟინიანი“.

დ. სამტრედია.

21 მაისს შესდგა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა პ. ბერიკაშვილი, მდივნათ იყო ბ. ხუფუა.

კრებას დაესწრო დაახლოვებით სამოცი წევრი.

პირველ საკითხათ იყო წამოყენებული კო ტეტის წევრის არჩევა, და ფარულის კენჭის ყრით იქნენ არჩეულნი ს. ნიკურაძე, კ. კოპალეიშვილი. გარდა ამისა ორგანიზაცია ხუთი კაცისგან: ბ. ხუფუა, ნ. მელქაძე, პ. გიგინეიშვილი, ზ. გალდავა, პ. ბასკანჩალაძე.

ვიქტორ ა. ხუფუა.

ს. ჯვარცხმა. აქ დაარსდა სოც. დემ. მუშათა პარტიის წრე. წრეში ჯერ-ჯერობით 50 მდე წევრია. წევრთა მიღება გრძელდება. აღსანიშნავია, რომ აქეთ ფედერალისტებს ან ნაციონალისტებს წამლადაც ვერ ნახავთ.

ივ. ქ.

მურღული. 22 მაისს მურღულის სპილენძის ჩამოსახსნელ ქარხნის მუშებმა მოახდინეს ადგილობრივ კლუბში კრება, წაიკითხეს რ. ს. დ. მ. პ. პროგრამა დაარსეს ს. დ. ბიურო. კრებას თავმჯდომარეობდა მუშა—მიხაკო ჭანტურიშვილი, ბიუროში აირჩიეს: მიხაკო ჭანტურიშვილი, ვასილ ნიკურაძე, ნესტორ შუბლაძე, კირილე ბოლქვაძე და გოგიჩაიშვილი.

ბიურო ზრუნულობს ძანსულისა და მურღულის მუშებს აგრეთვე მურღულის რაიონში მცხოვრებლებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, ვისაც სურს ჩაეწეროს პარტიის წევრათ მიმართონ ბიუროს წევრებს.

გაგურელი ოფონიეხშვილი.

მუშათა ცხოვრება.

თელავ-ახმეტა თიანეთის საფოსტო გზაზე მოსამსახურეთა ცხოვრება. თელავიდან ახმეტამდე და ახმეტიდან თიანეთამდე ფოსტის გადატან-გადმოტანა ხდება „ტროიკით“, რომლის კონტრაქტორი არის შარბაათოვი. „ტროიკაზე“ მოსამსახურე მუშები 15 კაცია, ხოლო სადგურის განყოფილებში 5 კაცი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მუშების ნივთიერი მდგომარეობა პირდაპირ წარმოუდგენელია. მათთვის არ არსებობს არც დასვენება, ძილი არც დღე და ღამე. უძლებათ მოგზაურო [illegible] ვაზნზე, როგორიც [illegible] და ხვა-ხვა [illegible]. თვიურათ კი ზემო აღნიშნული მუშები პირველი კატეგორიისა იღებენ 15 მანეთს, მეორენი კი 30—35 მანეთამდე. აქედან ცხადია თუ რა მდგომარეობაში იქნებიან ის მუშები, რომელნიც ხელფასს კი არ იღებენ, არამედ სამათხოვროს, თვით ბაზეინი კი სარგებლობს განსაკუთრებული მდგომარეობით და არხეინათ ეწევა მუშების ექსპლოატაციას. რაკი მუშები დაუფლავებულნი შელავათით, ისინიც გახმუშვებულნი არიან. ამ რამდენიმე დღის წინათ მუშებმა თხოვნით მიმართეს შარბათოვს, რომ მოემატებინა მათთვის ხელფასი. შარბათოვმა კი ერთი თვის ვადა დაუდო. ისინი სათ-

ქმნილია, რომ თვით მუშები მეტათ ჩამორჩენილი და განუვითარებელნი არიან.

დროა შეკავშირდენ, დროა შერბათოვს ანგარიში მოსთხოვონ და სამარცხვინო მონურ მდგომარეობიდან თავი იხსნან.

ახმეტელი.

ჯულფა-ბაქოს სამხედრო რკინის გზის მუშები. ჯულფა-ბაქოს სამხედრო რკინის გზის სამუშაოზე მუშების მდგომარეობა ძალიან ცუდ პირობებში მიმდინარეობს: მუშაობა იწყება დილის ექვს საათიდან და შეუწყვეტლათ გრძელდება საღამოს 7 საათამდე, ადმინისტრაცია უხეშათ ექცევა მუშებს, სასმელ-საჭმელი მეტად უვარგისია და სხ. ყოველივე ამან აიძულა 135 მუშა თავი მიენებებიათ მუშაობისთვის. როცა დელეგატების არჩევნები უნდა მომხდარიყო, მუშათა და მსახურთა საორგანიზაციო ყრილობისთვის, მუშათა წარმომადგენლებს უარი განუცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე, ამიტომ არჩეულ იქნენ მხოლოდ მსახურნი, მუშები კი ცხოვრების გარეთ დარჩნენ.

პროვინციის ცხოვრება.

ჭიათურა (შორაპნის მაზრა). 15 მაისს, მოხდა ჭიათურის, სოფლის ადმას. კომიტეტების სარაიონო ყრილობა. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამ. პლატონ მოდებაძე, მისს ამხანაგათ კ. კაპანაძე, მდივნათ მარ. ჭანიშვილი. თავმჯდომარემ გააცნო ყრილობას სასოფლო კომიტეტების ვალდებულება და ურჩია ენერგიული მუშაობა, რევოლიუციის გასამტკიცებლათ. შემდეგ მოხდა სარაიონო კომიტეტების არჩევნები.

არჩეულ იქნა სარაიონო ად. კომიტეტის წევრებათ 11 კაცი და სამი კანდიდატი.

1) კარპე მოდებაძე, 2) პლატონ მოდებაძე, 3) გრიგოლ ფხალაძე, 4) გიორგი წერეთელი, 5) დათიკო სამხარაძე, 6) მოსე ჩუბინიძე, 7) დარისპან ცუცქირიძე, 8) რაჟდენ უზნაძე, 9) ვასილ კაპანაძე, 10) კლემენტი კაპანაძე, და 11) კოლია გაფრინდაშვილი.

კანდიდატებათ: 1) სიმონ ცერცვაძე, 2) სიმონ ბიწაძე, 3) ფილიპე ცერცვაძე.

გლეხთა დეპუტატების სიეზდზე გასაგზავნ დელეგატათ. არჩეულ იქნა ვ. კაპანაძე.

ვ. კაპანაძე.

ზესტაფონი. ადგილობრივი კომიტეტი გაცხარებული მუშაობს ყოველ მხრივ. ამ ჟამათ შორ. მაზრის სოფლებში არჩევნებს ხელმძღვანელობენ. ადგილობრივი რკინის გზის და სხვა დარგის მუშა მოსამსახურეები გაორკეცებული ძალით უწყობენ ხელს რევოლიუციის წინსვლელობას. ჩინებული წესია ხოლმე რკ. გზის სადგურზე.

ვაჭრების თავკასულობას საზღვარი არა აქვს. თვითონ შეადგინეს ნიხრი, მაგრამ მაინც ნიხრ ზევით ყიდიან. შავრაზმელებს აქაც არ სძინავთ, ქურდობას და არევ დარევას აწყობენ.

ხაქარის საზოგადოება. აქ ხალხი შეგნებულათ შეხვდა არჩევნებს. არავითარ განხეთქილებას ალაგი არ ქონია. არჩეული იქმნენ ყველა ს. დ. და ორი უპარტიო. კომისარათ მოიწვიეს ვ. ფერაძე. კომიტეტი უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

კლდეეთის საზოგადოება. არჩევნები სასურველათ ჩატარდა. პირველ ხანებში ინტელიგენციის უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ შემდეგ უკმაყოფილების მიზეზი გამოირკვა, აირჩიეს 10 კაცი. მათ შორის 8 ს. დ.

მუხურის საზოგადოება. აქ თავი იჩინა უზნობამ, მაგრამ მაინც წყნარათ ჩატარდა არჩევნები. აირჩიეს 11 კაცი მათ შორის 10 ს. დ.

საზანოს საზოგადოება. აქ მშვენიერათ ჩატარდა არჩევნები, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ ინტელიგენციას. არჩეულ იქმნა ხუთი ს. დ. ორი ს. ფ.

ზოვრეთის საზოგადოება. აქ დიდი განხეთქილება იყო კანცელიარიის საკითხზე, მაგრამ არჩევნები მაინც მოხდა. არჩეულ იქმნა ოთხი ს. დ. ნახევარმა ამ საზოგადოებაში მონაწილეობა არჩევნებში არ მიიღო კანცელიარიის საკითხის გამო და დარჩნენ გამოთიშული.

თერჯოლის საზოგადოება. აქ უმწვერვალესამდის მიაღწია არევ-დარევამ. ჯერ იჩინა თავი წოდებათა შორის განხეთქილებამ, რაც ჩააქვრეს ს. დ. ორატორებმა, მაგრამ ხალხმა არ მოისურვა, რომ ქალებსაც მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. დიდი აურ-ზაური იყო ამ კითხვის ირგვლივ. ბოლოს როგორც იყო დათანხმდნენ. არჩეულ იქმნა 13 ს. დ.

საქარელი მ.

სამურზაყანო. ქ. შ. წ. კ. გ. საზ. სამურზაყანოს გამგეობამ ამ წლის აპრილში გახსნა ხუთი სამკითხველო სამურზაყანოში. გალში, აჩიგვარაში, ოქუმში, საბერიოში და ჩუბურხინჯში. სამკითხველოებს აქვთ გამოწერილი ყველა გაზ. ქართულ ენაზე. რუსული „Возрожденіе“ და „Кавказскій рабочій“

13 ამა მაისს გამგეობის თაოსნობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დ. გალში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. ხალხი ბლომათ დაესწრო და წესიერებაც დაიცვა. წმინდა შემოსავალი დარჩა 230 მ. ამავე განყოფილებას სამკითხველოების დასახმარებლათ შემოსწირეს 87 მანეთი.

დავალებით ს. შონია.

ხოფ. ჯვარცხმა. როგორც ვწერდით, ახა-

ლა სასოფლო კანონის ძალით ჯვარცხმის საზოგადოება გაყოფილი იყო ორ ნაწილათ; ერთი ნაწილი მასილეთის საზ. მიეწერეს, მხოლოდ მეორე კი ჩოხატაურისას. მარა, რადგან ჯვარცხმის საზ. ქონდა თავისი სასამართლო, ორ კლასიანი სასწავლებელი, კოოპერატიული დუქანი, სამკითხველო და სხვა დაწესებულებანი, ამისთვის მეტ პირებს არ სურდათ ამ საზოგ. გაუქმება. ახლა, როგორც ვიცით უკვე გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც ყველა სოფლები ისევ ისე რჩება, როგორც ვარანცოვ-დაშკოვის დროს იყო. მაგრამ ზოგი პირები მაინც თავისას გაიძახიან და ამ ვაჟბატონებს უნდათ ერთი მეორეში შური და კინკლაობა დასთესონ. ასეთი კინკლაობა ხელს შეუშლის საზოგადო საქმეს.

ივ. ქორთშასპირელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

ჩვენ კავკასიის მე-9 მოწინავე სანიტარული ბტრიადის ქართველნი ჯ. კ. ვგზავნით ჩვენ შორის შეგროვილს წვლილს 50 მ. და გთხოვთ გაანაწილოთ ასე: 20 მან. გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ, 20 მ. საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ და 10 მ. გაზ. „ბორბალს“.

—

შევაგროვეთ ამხანაგებს შორის 30 მ. 60 კ. და გავანაწილეთ ასე: გამოვიწერეთ გაზეთი „ერთობა“ ექვსი თვით და „კავკ. სლოვო“ ექვსი თვით. აგრეთვე გაზ. „სოც.-დემოკრატი“. დანარჩენი კი გაზეთ „ერთობის“ ფონდს.

ბათომის განმანაწილებელ ნაწილის ჯარისკაცების მინდობილობით ჯარისკაცები შალვა კომახიძე და დ. ვაშაკიძე.

—

გიგზავნით 5 მან. გაზეთის ფონდის სასარგებლოთ; შემდეგში ვალად ვთვლი ჩემს თავს ვიხადო ხუთ-ხუთი მანეთი წელიწადში ჩემს სიცოცხლეში გაზეთის ფონდისათვის.

პატივისცემით ჯარისკაცი ფ. ჩიკვილაძე.

—

გიგზავნით „ერთობის“ ფონდისთვის ნარჩენის კომენდანტის კანცელარიაში მყოფი ჯარისკაცები თითო მანეთს: პავლონ ლომინაძე, ყარამან ვაშალომიძე, ისაკ ფანცულაია მანეთ ნახევარი.

ამხ. მინდობილობით ი. ფანცულაია.

—

ჯულფა. ბაქოს რკინის გზის მესამე რაიონის მუშებმა დავადგინეთ: ჩვენში შეგვილი ფული გავანაწილოთ ასე. ხუთი თუმანი გაზეთების გამოსაწერათ და 110 მ. მივეცით სალდათების კომიტეტსა, რომელიც მოხმარდება ხოდათურინის ავთმყოფ სალდათებს.

—

ფოთი. მარგანეცის მუშა პეტრე ოეიმურაზის ძე თოფურია გარდაიცვალა სახალხო ამბოლში ამ მის საზოგადოება-ში, რომლის ხსოვნის აღსანიშნავათ ფოთის მარგანეცის მუშებმა 5 მანეთს სწირავენ „ერთობის“ ფონდს, ხოლო 77 მ. 50 კ. გაუგზავნეთ განსვენებულის დაობლებულ ოჯახს.

—

გახსლებით ჩვენს შორის შეგროვილ მცირე წვლილს „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ. 35 მ. 80 კ. მოხმარდეს გაზ. „ერთობას“ და 8 მან. ნახევარი წლით გამოწერეთ გაზეთი ჯარის კაცებს.

ამხ. დავალებით აკ. ცაბაძე.

—

გიგზავნით სულ 101 მან. და 25 კ. გთხოვთ ბ-ნო რედაქტორო ეს ფული გაანაწილოთ ამ ნაირათ 25 მანეთი ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლად. 25 მანეთი თფილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ ღარიბ მოწაფეთა სასად. სასარგებლოთ. დანარჩენი ფულით გთხოვთ გამოგვიწეროთ შემდეგი გაზეთები: (თვითეულ რედაქციას ათ-ათი მანეთი) ქართული გაზეთი „სახალხო ფურცელი“ დამატებით, „ვოზროჟდენიე“, „ორიზონი“ პირველი მაისიდან.

ამხ. მონდ. შალიკო გედევანიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და თავიანთი წვლილი შემოსწირეს ს. ჩ. ჭალაის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს დასახმარებლათ.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ ელისე ლომაძეს. მან ს. ჩ. ჭალაის კოოპერატივს გამოუწერა ექვსი თვით გაზეთი „ერთობა“, თავისი ახლად გარდაცვალებულ მამის მოსაგონებლათ.

კოოპ. გამგე მ. პატარაია.

—

მადლობას ვუცხადებთ მელქისედეკ კ. ჟღენტს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც გაიღეს თავიანთი წვლილი და გამოგვიგზავნეს ახლათ დაარსებულ ფიჩხის-ჯვარის სამკითხველოსათვის 31 მ. და 75 კ.

აგრეთვე უღრმეს მადლობას ვსწირავთ ნესტორ მოსეს ძე გაგუას, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს 15 მ., თავისი სამი წლის ვაჟის, უდროვოთ გარდაცვალებულის „დათიკოს“ ხსოვნის აღსანიშნავათ და ფოთის რკინის გზის სადგურის მუშებს, რომელთაც შემოსწირეს სამკითხველოს ოცი მანეთი თავისი ამხანაგის ჯარისკაცის გარდაცვალებულის რაჟდენ გერასიმეს ძე კალანდაძის ხსოვნის აღსანიშნავათ.

ფიჩხის-ჯვარის სამკით. მოლარე
მღ. ერმოლაოზ ჯაველიძე.

—

ბახვის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის მივიღეთ: მაშო კლდიაშვილისაგან—25 მ., მოსე ბოლქვაძისაგან ქ. სოხუმში მოგროვილი 85 მან. და სერგო კონსტ. დოლიძისაგან ქ. თფილისში შეკრებილი—45 მ. ხსენებული სამკითხველოს გამგეობა აღნიშნულ პირს და აგრეთვე შემომწირველთ ღრმა მადლობას უძღვნის.

მინდობილობით მ. რამიშვილი.

—

ესე სულუხიამ თავისი ახლად გარდაცვლილი შვილის შვილის თეოდინას ხსოვნის აღსანიშნავად ჩემდამი რწმუნებულ ბახვის 2 კლასიან სასწავლებელს შესწირა 20 მანეთი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუცხადებ.

ბახვის სასწავლ. ზედამხ. მ. რამიშვილი.

—

ბახვის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს გამგეობა ღრმა მადლობას უძღვნის სერგო კოწიას ძე დოლიძეს, რომელმაც თავის ნაცნობთა შორის ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ შეაგროვა 45 მანეთი.

ხსენ. სამკ. გამგ. მონდ. მ. რამიშვილი.

—

ჯვარცხმის სამკითხველოს გამგეობა მადლობას სწირავს იმათ, ვინც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი სამკითხველოსთვის.

მონდ. ივ. ქორთშასპირელი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ

სერაპიონ სერნიაშვილი ავათ არის ფილტვების ანთებით. გაგზავნილია საავადმყოფოში. მან გამომიცა წერილი, მაგრამ ის წერილი დამეკარგა და ამიტომ ვაცხადებ ამას. რომელ საავადმყოფოშია ჯერ არ ვიცი.

სიმ. გოთოშია.

—

ლუკა გიდენიძე მსახურებდა გერმანიის ფრონტზე მესამე კავკ. სტრელკოვი არტილერიის ბრიგადაში, მეორე პარკში, მესამე ზვოდში. ექვსი თვეა მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგ მისამართით: კავკ. არმია 102 კავკ. სამხედრო ტრანსპორტი, ბესარიონ გიდენიძეს.

—

მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც გაზ. „ერთობა“ გამოგვიწერა და მოგვცეს საშვალება გავიგოთ ჩვენი სამშობლოს ამბავი რუმინიის ფრონტიდან.

ამხ. მონდ. ჯ.-კ. კასიანე ანალაძე.

ჩვენი ფოსტა.

ანდრო ბერიძეს. გამოიწვიეთ სამედიატორო სამართალში შეკაცით. რედაქციის მაგისთვის რად აწუხებთ!

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება“-ში ოლღას ქუჩა, № 6.

ს. თავართქილაძის, ოლღას ქ. № 6, წ.-გამომცემლობის კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

[illegible]

„ერთობა“, „ბორბალი“, „კავკ. რაბოჩი“, [illegible], „მოგზაური“, [illegible]

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1.